ზურაბ არაგვის ერისთავის ლაშქრობები ფშავ-ხევსურეთში

გოგიტა ბარბაქაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეიმურაზ ჯოჯუა , ასოცირებული პროფესორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ ნინო მატარაძეს
ამავე ფაკულტეტის შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრანტის
გოგიტა ბარბაქაძის

განაცხადი

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გოგიტა ბარბაქაძე

2023

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ზურაბ არაგვის ერისთავის ლაშქრობები ფშავ-ხევსურეთში. საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი საინტერესო ფიგურაა ზურაბ ერისთავი, რომელსაც ხშირად გმირის კონტექსტში განიხილავენ. ჩვენი კვლევის მიზანია, განსხვავებული კუთხით წარმოვაჩინოთ მისი პიროვნება და სამხედრო შესაძლებლობები.

ზურაბ არაგვის ერისთავი ბევრი მეცნიერის დაკვირვების საგანი ყოფილა, თუმცა კვლევის ჩვენეული მიდგომა განსხვავებულია, რადგან პირველწყაროებთან ერთად თემის ირგვლივ დასმულ შეკითხვებს პასუხი მთაში შემონახულ ზეპირსიტყვიერ მასალაზე დაყრდნობით გავეცით. არსებული ლექსები და ანდრეზები დაგვეხმარა, საჭირო ცნობები მოგვეპოვებინა იმის შესახებ, თუ რა მეთოდებით ცდილობდა არაგვის ერისთავი ფშავ-ხევსურების დამორჩილებას ან რა მარშრუტებით გადაადგილდებოდა მისი ლაშქარი; ასევე, ფშავ- ხევსურეთის რა ტერიტორიაზე მიმდინარეობდა საბრძოლო მოქმედებები და რა შედეგებით დასრულდა მისი ლაშქრობები.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ხსენებული მასალა სუბიექტურია და ძირითადად მთიელთა პოზიციას გამოხატავს, შესაძლებელია, მასში ამოვიკითხოთ ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც გვეხმარება საკვლევი თემის რეპრეზენტაციაში.

ჩვენი კვლევის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ზურაბ არაგვის ერისთავის ლაშქრობები ფშავ-ხევსურეთში, თუმცა თემის სრულყოფილი ანალიზისთვის განვიხილეთ ზურაბის პიროვნული მახასიათებლები, მისი გაერისთავება და მანამდელი სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა, რამაც ხელი შეუწყო მოვლენების ამგვარ განვითარებას.

Abstract

The paper explores ,,the expeditions undertaken in Pshav-Khevsureti by Zurab, the Eristavi of Aragvi''. Eristavi is one of the interesting figures in the history of Georgia, frequently discussed in the context of a hero. The objective of our research is to provide an alternative perspective on his character and combat skills.

Zurab, the Eristavi of Aragvi has been the subject of observation by many scientists, however, our research adopts a distinctive approach, by addressing the inquiries surrounding the subject matter through the utilization of primary sources, specifically oral material preserved in the mountainous region. The existing poems and andrezis helped us to uncover crucial information regarding the methods by which Eristavi of Aragvi tried to subdue the Pshav-Khevsurs or the routes his army utilized to travel. Additionally, the research delved into the specific regions within Pshav-Khevsureti where the combat operations occurred, as well as the results of these battles.

Despite the subjective nature of the aforementioned material, predominantly reflecting the perspective of the mountaineers, valuable insights can still be extracted, aiding in the representation of the research topic.

The central focus of our research revolves around the expeditions conducted in Pshav-Khevsureti by Zurab, the Eristavi of Aragvi. Nevertheless, for a comprehensive examination of the topic, we have also explored Zurab's individual traits, his path to becoming an Eristavi, and the pre-military political situation, all of which played a significant role in shaping the subsequent development of events.

Keywords: Zurab, the Eristavi of Aragvi; Andrezi, Pshav-Khevsureti, The Duchy of Aragvi